ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების

ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრა

2020/2021 სასწავლო წელი

23.02.2021

2020/2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელდა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა.

მესამე სემესტრის სტუდენტების მიერ სასწავლო კურსები ძირითადად შეფასდა 5 სკალიანი შეფასების მიხედვით უპირატესად უმაღლესი ქულით.

პირველი სემესტრის სტუდენტების ცალკეული შეფასებები აღმოჩნდა 5 სკალიანი შეფასების მიხედვით უპირატესად უმაღლესი ქულით („5" და „4"), თუმცა ზოგიერთ კითხვებთან მიმართებაში ერთეული შეფასება აღმოჩნდა „3" და ნაკლები.

აქედან გამომდინარე, ჩატარდა შეხვედრა ფოკუს ჯგუფთან და ჩაღრმავებული გამოკითხვა კითხვარის თემებთან მიმართებაში.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა თემები, რის გათვალისწინებასაც ისურვებდნენ სტუდენტები. გამოითქვა ასევე აზრი, რომ აუდიტორიული მეცადინეობების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული რეკომენდაციები არც ყოფილიყო მკვეთრად გამოხატული.

ძირითადი რეკომენდაციები:

ლექციები იყოს მაქსიმალურად ინტერაქტიული და ორიენტირებული სტუდენტის ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების წახალისებისკენ;

პრეზენტაციები იყოს ლაკონური, მკაფიო და დამატებითი მასალა მიწოდებული იყოს ჰენდაუტების ან სხვა დამხმარე და დამატებით წასაკითხი მასალის სახით;

პრაქტიკული მეცადინეობები მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს ჯგუფურ მუშაობაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე (რაც გამოყენებული იყო ზოგიერთი კურსის ფარგლებში);

პრაქტიკულ მეცადინეობებზე ჩატარებული აქტივობების შეფასების კრიტერიუმები იყოს მკაფიოდ ახსნილი;

პრაქტიკული სავარჯიშოები მაქსიმალურად იყოს მორგებული ეროვნულ რეალობას, რაც უფრო საინტერესოს ხდის გამოსავალის გზების ძიების და გადაწყვეტილების მიღების პროცესს;

უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სასწავლო კურსის მიზნები და დანიშნულება;

სასწავლო კურსი ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა 1- მოითხოვს მეტ ინტერაქციას და ინდივიდუალურ კომუნიკაციას ლექტორთან (რაც გამოყენებული იყო მოცემული კურსის ფარგლებში).

აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება სამაგისტრო პროგრამის რე-აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში, მიუხედავად იმისა, თუ რა სახით (დისტაციური, საუდიტორიო) გაგრძელდება მეცადინეობები.